სასოფლო გაზეთი

მესამე წელიწადი

Замодиа Шабатобит.

Газетис фасиси:

	Тбилисшиа	Гаугзавнелатаа
Да гарешу адгилебше:		
Ерти тве	— 4 ман.	— 3
Рахевриа тве	— 3 —	— 2
Сами тве	— 1 з. 50 к.	— 1 з.

Хелис-мо-цера миидеба:

Тбилисис „Сасофло газетис“ редакциис канцелариаши, Меликвишвилис да К. Стамбашвили ханис ирдзе, т. Н. Абашунис сахлши.

Тбилисис гареше мцховреблебисатвис адреси: Въ Тифлисѣ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

Кочелс гвари гамцхадебули сасофло сасамартлоебиса да агреве глехебиса дабечдебда упасоо, да унда гамоицхавнос газетис канцелариаши, romelic имкопеба Тбилисши, Меликвишвилис да К. Стамбашвили.

№ 14. Шабати. III. 15 агвистосо, 1870 წ.

Шинаарси

Редакциисаган.—Шинаури амбебі:—Ивериисі да Апхазетис амбебі.—Меурнеобис амбебі:—Ерთад мушаоба да саерთო иарღебис кидева сопелебში,—Швеицариис да Саფранґетис меурнеобиа,—Ოდესში ღвинис да თამбакис гамоцхвена.—Самецниеро ნაწილი: Мицис истореиа ану геологиа,—Сауцхетесо ცოდნა.—Ბანცხადება.—

Редакциисаган

Чвен шеитхвет, rom бериса ჰგონია чвенი „Сасофло Газети“ шеидманетасатა ღირსო. Ამ ორი წლის წინათ მართალია შეიდმანეთათა ღირდა, რადგანაც კეირაში ერთხელ გამოდიოდა, მაგრამ აგერ ეს ორი წელიწადია ორ კეირაში ერთხელ გამოდის და ამიტომ ფასი დაიკლდა.

Ახლა ამ გაზეთის ფასი ქართლ-კახეთში, სოფლის სასამართლოებისთვის არის დანიშნული სამი მანეთი, სხვებისთვის სოფელში გაბაენით ოთხი მანეთია.

Ამასთან კიდევ ერთი ამბავიც შეეიტყეთ: „Сасофло газети Сопелис“ სასამართლოს rom მისდის, მამასახლისები იღებენ და აღაბაეის აძლევენ წასაკითხათაო. Არ ეიცით ეს ra საბუთით არის ასე. Ამ გაზეთს სოფლის სასამართლო rom იბარებს, მამასახლისისთვის არ იბარებს, rom მარტო იმათ და იმისმა ოლშვილმა წაიკითხოს; ეს გაზეთი მთელი სოფლისაა, მართალია მამასახლისს უნდა ებარებოს, მაგრამ ყველა კაცმა თუ დედა-კაცმა, ვინც კი მოინდომა, ყველას უნდა მისცენ წასაკითხავათა, ამიტომ rom ყველას მიუცია გაზეთისთვის ფული.

Მამასახლისებს rom ჰკითხოს კაცმა, ასე გეტყვის rom ყველას არამც თუ წასაკითხათ ეაძლევ გაზეთსაო, მე თითონ გლეხებს უჯდები ხოლმე და მე თითონ უკითხავო. Იქნება ზოგნი კი მართლა ასე შერებოდნენ, მაგრამ ზოგისა გაგვიგონია, rom მალვენო და არ აკითხებენო. Ამისი მიზეზი ის არის, rom ჩვენ გაზეთში ზოგიერთ მამასახლისების უკანონო საქციელზე ლაპარაკი არის ხოლმე და დარიგებაა, გლეხები როგორ უნდა მოიქცენ კანონიერათ და სიმართლით, rom მამასახლისმა ცუდი და ურიგო საქმეები არ ჩაიდინოს. Აი ეს მამასახლისს არ მოსწონს და გაზეთს ხალხს არ აკითხებს და მალავს.

Მაგრამ ვისაც უნდა ყველას შეუძლია მამასახლისს გაზეთი მოსთხოვოს და თუ უარი უთხრას, სამართალი აქვს იჩიელოს.

Აქვე ამას ვიტყვით, ძალიან კარგს იზამდნენ გლეხები, rom გაზეთისთვის ერთი საკუთარი წიგნის მკოდნე კაცი იპოვონ და იმას მიაბარონ გაზეთები, rom იმან მიიღოს ყოველთვის, საკითხავათ იმან დაარიგოს და წაკითხვის შემდეგ უკან გამოართვას შესანახავათ. Სოფელში ბევრჯელ წიგნის მკოდნეს წიგნის კითხვა უნდა და ვერსად ვერ უშოვნია. Ერთ კაცს rom ექნება ეს გაზეთები შენახული, ყველას შეუძლია იმასთან მიეიდეს და აღვილათ გამოართოს საკითხავათ. Მამასახლისს ბევრი საქმე აქვს და ბევრჯელ არა ვინც კი მოინდომა, ყველას უნდა მისცენ წასაკითხავათა, ამიტომ rom ყველას მიუცია გაზეთისთვის ფული.

Მამასახლისებს rom ჰკითხოს კაცმა, ასე გეტყვის rom ყველას არამც თუ წასაკითხათ ეაძლევ გაზეთსაო, მე თითონ გლეხებს უჯდები ხოლმე და მე თითონ უკითხავო. Იქნება ზოგნი კი მართლა ასე შერებოდნენ, მაგრამ ზოგისა გაგვიგონია, rom მალვენო და არ აკითხებენო. Ამისი მიზეზი ის არის, rom ჩვენ გაზეთში ზოგიერთ მამასახლისების უკანონო საქციელზე ლაპარაკი არის ხოლმე და დარიგებაა, გლეხები როგორ უნდა მოიქცენ კანონიერათ და სიმართლით, rom მამასახლისმა ცუდი და ურიგო საქმეები არ ჩაიდინოს. Აი ეს მამასახლისს არ მოსწონს და გაზეთს ხალხს არ აკითხებს და მალავს.

Მაგრამ ვისაც უნდა ყველას შეუძლია მამასახლისს გაზეთი მოსთხოვოს და თუ უარი უთხრას, სამართალი აქვს იჩიელოს.

Აქვე ამას ვიტყვით, ძალიან კარგს იზამდნენ გლეხები, rom გაზეთისთვის ერთი საკუთარი წიგნის მკოდნე კაცი იპოვონ და იმას მიაბარონ გაზეთები, rom იმან მიიღოს ყოველთვის, საკითხავათ იმან დაარიგოს და წაკითხვის შემდეგ უკან გამოართვას შესანახავათ. Სოფელში ბევრჯელ წიგნის მკოდნეს წიგნის კითხვა უნდა და ვერსად ვერ უშოვნია. Ერთ კაცს rom ექნება ეს გაზეთები შენახული, ყველას შეუძლია იმასთან მიეიდეს და აღვილათ გამოართოს საკითხავათ. Მამასახლისს ბევრი საქმე აქვს და ბევრჯელ არა სცალიან. Ამიტომ საკუთარი კაცი rom იქნება ეს ყველას ემჯობინება, არც მამასახლისს დაემდურებიან და არც მოიმდურებენ.

Шинагвани цнобебі.

Ამ ჟამათ ქალაქში ბამბისა და სხვა საქონლის ეაპრობა შედგა: აღრე rom ას-ას ურმობით გადიოდა ბამბა და სხვა დიდი საქონელი, ახლა ოცა-ოცობით გადის. Ამისი მიზეზი ის არის, rom ფრანცუზებსა და ნემცებს აგერ ერთი თვე მეტია ომი აქვთ, დიდი ომი აქვთ. Ეს ომი პირველათ ფრანცუზების ხელმწიფემ ნაპოლეონმა ასტეხა და ამბობდნენ ომიანობა დიდი ხანი გასწევსო; ყველას ეგონა ფრანცუზები მოერევიან ნემეცებსაო, მაგრამ რადგან ნემეცებიც ძლიელები არიან, კარგათ დაუხვდებიანო და ომიანობა დიდი ხანი იქნებაო. Ახლა საქმით გამოჩნდა, rom ნემცებს უფრო კარგი გამართული ჯარი და კარგი სარდლები ჰყოლიათ, ამიტომ ფრანცუზებს ამარცხებენ და აგერ საცაა ფრანცუზეთის თავ. სამეფო ქალაქს მიადგებიან. Აქედამ ის გამოვა, rom თუ ფრანცუზის ხალხიც ქუდზე კაცი არ გამოვიდა, მარტო ჯარის ამარათ უთოოოთ მალე გათავდება ომიანობა. Ამისთანა ომის დროს რასაკვირველია ეაპრობისა აღარ სცალიანთ და ჩვენ ბამბას კიდეც ამიტომ ცოტასა ყიდულობენ. Ამის გამო ჩვენ გლეხ კაცს ურმის პატრონს წასაღები საქონელი აკლდება და ქირას ძნელათა შოულობს. Აი ამ გვარათ შორი ქვეყნის ომი საიდამ საღ

ზიანს აძლევს ჩვენ გლეხ კაცსა. ახლა ის უნდა ვიფიქროთ იქაურ გლეხებს რამდენი უმეტესი ზიანი უნდა მოუვიდეთ. დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი. რამდენი დედა ატირდება!

*

იმერეთიდგანა გვწერენ, რომ სოფლის მოხელეების ამორჩევა გათავებულა. ამ ჟამათ გლეხებს ეტყობოდათ, რომ კარგა შეიტყეს თავისი სარგებლობა და კარგი კაცების ამორჩევა უნდოდათო; თუ არა ვსცდებით, ამბობენ მართლა ბევრგან სანდო და პატიოსანი კაცები ამოარჩიეს კიდეცაო.

*

იმერეთიდგანა გვწერენ: შორაპნის უეზდში რამდენსამე სოფელს დაუდვია შემდეგი განჩინება: პირველი. რადგანაც სოფლის შკოლებისათვის ოსტატები მოგვინდება, ამისათვის თითო კომლზე გადაგვეხადოს ექვს ექვსი შაური. ამ ფულით ქუთაისში უნდა გამოიზარდოს ყმაწვილი იმ პირობით, რომ შემდეგ ჩვენს სოფლის შკოლაში ოსტატათ დადგეს.

მეორე. პურის მაღაზია გაიმართოს გაჭირებაში მოსახმარებლათ. ამ მაღაზიაში თითო კომლმა წელიწადში შეიტანოს ექვსი ბათმანი ანუ სამი ფუთი პური ანუ სიმიდი.

სასურველია, რომ ამისთანა გადაწყვეტილება არა თუ მთელ იმერეთში მოხდეს, ქართლშიაც და კახეთშიაცა. ბევრგან სოფლებში ოსტატი ვერ უშოვნიათ შკოლისათვის; მწერალი ვერ უშოვნიათ სასამართლოსათვის. უცხო სოფლის კაცი წიგნის მცოდნე ნაკლებ ფასათ ვერ მიდის ოსტატათ ან მწერლათ. გლეხებსაც მეტი ფული ვერ უძლევიათ და ამტომ ყმაწვილები წერა-კითხვის უცოდნელათა რჩებიან. ყველა სოფელმა რომ ასე გადასჭრას გადასახადი თავისი სოფლის ერთი-ორი ყმაწვილის გასაზრდელათ ქუთაისში ან ქალაქში, ეს ყველას ემჯობინებოდა. ამიტომ რომ, რაკი იმავე სოფელში სახნავ-სათესი ექნებოდა, ნათესაობა, მეზობლობა ეყოლებოდა ცხოვრება უფრო ნაკლებ ფასათ დაუჯდებოდა უცხო მოსულ კაცზედა. სოფელსაც კარგა ეცოდინებოდა ამ ოსტატის ვითარება და ამიტომ დაჭირებაში ხელსაც გაუმართავდა თავის შვილების გულისათვის. ზემოხსენებულ სოფლებში მაღაზიების გამართვაზე მეტს აღარას ვიტყვით, ამდენი ლაპარაკია ჩვენ სოფლებში და ჩვენს გაზეთშიაც ამდენჯერ გვილაპარაკნია, რომ იმისი სარგებლობა მგონია ყველამ იცოდეს.

ღმერთმა ინებოს რომ ყოველივე მტკიცეთ ასრულდეს, რაც გადაუწყვეტიათ ზემოხსენებულს სოფლებს და ტყვილი არ გამოდგეს.

*

რუსული გაზეთი „ხმა“ ამბობს, რომ, როგორც გავიგონეთ, სახელმწიფო რჩევას გადაუწყვეტია სმეტიდამ დარჩენილი ფულებიდგან 350,000 მანეთი მიეცეს ქუთაისის გუბერნიის მებატონეებს გლეხების გადასახადის სამაგიეროთაო.

*

რუსულ გაზეთს „ხმაში“ სწერენ, გავიგონეთო, რომ ამ მოკლე ხანში, მისი იმპერატორებითის უმაღლესობის კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით, სოხუმში გაიმართებაო ქალების შკოლა, საცა სოხუმის მაზრის ქალებს მიეცემათ საშუალება სარწმუნოებითი და ზნეობითი სწავლის მიღებისა. ამ შკოლასთან გაიხსნება აგრეთვე, ზემოხსენებული გაზეთის სიტყვით, პანსიონი, რომელშიაც ოცი ქალი მიიღება სახელმწიფო ხარჯით და ოცსაც თავის ხარჯით შეუძლიანთ შევიდნენ. რვა წელზე ნაკლები და თორმეტზე მომატებული ქალები პანსიონში არ მიიღებიან. შკოლა ორ-კლასიანია, ერთიც მოსამზადებელი კლასია. ის ექვემდებარება ქუთაისის სასწავლებლების დირექციას. ვინც თავის ხარჯით ისურვებს პანსიონში შესვლას, იმათ გადახდებათ წელიწადში — ოთხმოცი მანეთი და ამას გარდა პირველათ შესვლისათანავე კიდევ ოცდა ხუთი მანეთი. სწავლისათვის წელიწადში სამი მანეთი იქნება. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს. შკოლაში ასწავლიან: სამღვთო წერილს, საეკკლესიო გალობას, რუსულ ენას, საშობლო ისტორიას და გეოგრაფიას და ხელსაქმეს. — *„Гол.“* № *202.*

* * *

— ოთხშაბათს, მეოთხე საათის ნახევარზე, ტფილისში რამდენიმე მინუტის განმავლობაში იყო ძლიერ დიდი სეტყვა; თითო მარცვალი თხილის ოდენა იყო და ზოგი ბევრით მეტიც. თუ ეს სეტყვა ტფილისის იქითაც იყო, უეჭველია, დიდ ვნებას მისცემდა განსაკუთრებით ყურძენს.

აფხაზეთის ამბავი.

როცა აფხაზები დაიმორჩილეს, უმეტესი იმათგანი, რომელთაც არ ისურვეს გაქრისტიანება ოსმალეთში უნდა გადასახლებულიყვნენ. ბევრმა იმათგანმა მართლაც დასტოვა თავის ადგილ მამული, დაყიდეს ქონება და გაემგზავრენ ოსმალეთისაკენ. იმათ გადასახლების შემდეგ, აფხაზეთში, რასაკვირველია, ბევრი ადგილები დარჩა. როგორც ამბობენ, აფხაზეთში ძალიან კარგი და მომცემი ნიადაგიაო, ამას გარდა ზღვის ახლოობა აძვირფასებს იქაურ ადგილებს და ამიტომ ყველანი ეშურებიან ახლა იქ დატოვებული ადგილების შეძენას. მაგრამ მმართებლობა ყველას, გაურჩეველათ, კი არ აძლევს. ერთს რუსულ გაზეთში სწერენ ახლა, რომ ოდესსის უნივერსიტეტის მასწავლებლებმა (პროფესორებმა) მმართებლობას სთხოვესო, რომ იმათ მიეცეს თითოს ორას—ორასი ქცევა მიწა ბიჭვინდის ახლო ადგილებში. ამ მიწებზე იმათ უნდათ თურმე გამართონ ბაღები, ბოსტნები, მოიყვანონ აბრეშუმი და თამბაქო, მოაშენონ ფუტკარი და სხვა და სხვა საექიმო ბალახები დასთესონ. აი რა პირობით ითხოვენ ისინი: ათი წლის განმავლობაში იმათ უნდა გააშენონ და შეამუშაონ მიცემული ადგილები და თუ, ამ დროს შემდეგ მმართებლობამ ნახა, რომ რომელიმე ადგილი სრულებით არ შეუმუშავებიათ და არც გაუშენებიათ, მაშინ ადგილები იმათ პატრონებს ჩამოერთმევათ. როგორც ამბობენ, ამ მმართებლობისაგან აფხაზეთში აღებულ ადგილებს პროფესორები მალოროსიის მებაღე—გლეხებს მისცემენ თურმე იმ პირობით, რომ თითო ნაწილიდგან ორმოც დღიურს თვითონ გლეხები ასარგებლებენ.—

მეურნეობის ამბები.

იმ ქვეყნებში, საცა მცხოვრებლები ბევრნი არიან და ადგილ-მამული კი ცოტაა, ყოველმა მეოჯახემ თავის პატარა ადგილით ისე უნდა ისარგებლოს, რომ ყველაფერი მოიყვანოს; მაგალითად, ინგლისში, შვეიცარიაში, ბელგიაში ერთ დღიურ მიწაზე მეოჯახეს ყველაფერი მოჰყავს: პურიც, ღვინოც, წვანილეულიც და სხ.; რასაკვირველია, რომ ეს პატარა ადგილი ყველაფერს სამყოფს არ მისცემს მუშა-კაცს, თუ კარგათ არ შეამუშავა და არ მოუარა იმას. ამიტომაც მიწას ნეხვით და პატივის მოუყრელათ ერთ წელიწადს არ დასტოვებენ. საცა ადგილ-მამულის ვიწროობაა ჩვენშიაც, ასეა ხოლმე; მაგ. რაჭაში ერ

თი ქცევა სახნავი ადგილი ხანდისხან ას მანეთად და მეტათაც ღირს და იქ გლეხები მუდამ წელს აპატიებენ თაიანთ მამულებს, ამიტომ რომ, ყველამ იცის, რომ ნაპატიებ ადგილმა ყოველთვის მომატებული მოსავალი იცის.

პატივს გარდა განათლებულ ქვეყნებში სხვა და სხვა მაშინებით და სამეურნეო იარაღებით შეამუშავებენ ხოლმე ადგილებს; იქ მუშა-კაცების ხელი ძვირათა ღირს და მაშინები კი იმიტომ არიან სასარგებლო, რომ ხშირათ სამოცი და ასი კაცის და საქონლის მაგიერობას შვრებიან. მაგრამ ამისთანა სამეურნეო მაშინები ძვირათ ღირს, ასე რომ ათი და ოცი დღიურის პატრონს ღარიბ მემამულეს იმის შეძენა არ შეუძლია და არც ხელს მისცემს. ამ გაჭირვებაში აი რა ნაირი შემთხვევა ეხმარება ღარიბ მემამულეებს: რომელიმე შეძლებული კაცი იყიდის და გამართავს რამდონსამე სამეურნეო ორთქლის მაშინას და შემდეგ, ვისაც უნდა და რამდენი დროთაც უნდა, მიაქირავებს დადებულ ფასად. ყოველ ღარიბ მებატონეს შეუძლია, რომ ერთი დღით ან ორი დღით იქირაოს ამისთანა მაშინები, დახნევინოს, მოამკევინოს, გაალეწვინოს და სხვა ყოველგვარი მუშაობა მაშინით ჰქნას, და ამაში იმას ბევრი არაფერი დაუჯდება, რადგან მაშინა ერთი დღის განმავლობაში იმას გააკეთებს, რაც კაცის ხელი ან ცხენი ორმოც და სამოც დღეში ვერ მოიქმედებენ. ამ შემთხვევაში იგებენ, რასაკვირველია, ის მდიდრები, რომლებთაც გაუმართავთ მაშინები და სხვებს მიაქირავებენ; მაგრამ ღარიბებისთვისაც ძალიან გამოსადეგია.

სხვაგან ღარიბები ამაზე უფრო ჭკვიანათ იქცევიან. მაშინები ყველას სჭირია, მაგრამ ცალ-ცალკე ერთკაცს არ შეუძლია იყიდოს, რადგან შეძლება არა აქვს. ამიტომ ხშირათ მთელი სოფელი შეერთება ხოლმე, ცოტ-ცოტას ყველა გამოიღებს ფულს და ამ რიგათ გამოიწერენ რომელსამე სასარგებლო მაშინას. მაგალითათ, ვსთქვათ, რომელსამე სოფელში კარგი ბამბა მოდის, მაგრამ, რადგან მაშინები არა აქვთ და სოფლელები ხელით არჩევენ და სწეწენ ბამბას, იმათ ბევრი დრო ეკარგებათ და მოგება ცოტა რჩებათ. ვსთქვათ, ამ სოფელში ასი მოსახლე კაცია და ეს მაშინა კი სამას მანეთად ღირს. ერთ კაცს სამასი მანეთის გამოღება და მაშინის ყიდვა არაფერი გზით არ შეუძლია; და მთელ სოფელს კი, თითო კაცზე სამ-სამი მანეთის გამოღება, ადვილათ შეუძლია. ამ რიგათ მთელი სოფელი გამოიწერს ხოლმე მაშინას და ყველანი ისარგებლებენ და ის ფულები, რომელიც იმათ სხვისთვის უნდა მიეცათ, მაშინის თხოვებისათვის, თავისთვისვე რჩებათ.

განა მარტო ამ საქმეშია სასარგებლო ასე მოქცევა? ყველაფერ საქმეში გამოსადეგია: იქ, სადაც მარტო ერთ კაცს არაფერი არ შეუძლია, მთელ სოფელში რომ პირს მისცემდენ ერთმანეთს და შეუდგებოდენ საქმეს, უსათუოთ გააკეთებენ.

ამ გარემოებას ყური რომ ათხოვონ ჩვენმა მკითხველებმა მათთვისვე იქნება სასარგებლო.—

* * *

თუ საქონელს უნაგირით და უღელით დაუზიანდება რომელიმე სხეულის ნაწილი ან სადმე დაიჭრა და ან იარები გამოაჩნდა, მაშინ აი როგორ უნდა იმას მორჩენა: დაზიანებული ადგილი ყოველთვის ძალიან წმინდათ უნდა იყოს, ხშირათ უნდა დაბანოთ და ზედ დღეში რამდონჯერმე დამწვარი და დაფქვული ყავა უნდა წააყაროთ. მაზეთებში სწერენ ექიმები, რომ ამნაირი წამლობით ცხენი და სხვა დაზიანებული საქონელი ძალიან მალე მორჩება.—

— აი რასა სწერს უფ. ივ. სულხანოვი ქართულს გაზეთს „დროებაში“:

16 (28) მკათათვეს. დიდიხანია რაც ვოცნებდი ევროპის ნახვას და განსაკუთრებით იქაური სოფლური მეურნეობის და სახლოსნობის გაცნობას, მაგრამ დღემდი მე არ მქონდა შემთხვევა აღმესრულებინა ეს ჩემი დიდიხნის ნატვრა. სამზღვარს გარეთ მე გამოვემგზავრე პეტერბურღიდგან, სადაც დავესწარ სამანუფაქტურო გამოფენაზე და სადაც ახლომახლო შესანიშნავი სახლოსნობა ცოტაოდნათ გავიცან. ამ თავით სამზღვარს გარეთ მე მინდოდა მენახა და გამეცნო მეურნეობის მხრით სამხრეთი ნაწილი საფრანგეთისა, რადგანაც ამ მხარის მდებარეობა, ჰავა და მიწანიადაგი ბევრით ემსგავსება ჩვენი საქართველოისას.

პეტერბურღიდგან გამგზავრების შემდეგ, ჩვენ გავიგეთ, რომ პარ და პირი გზით წასვლა პარიჟში შეუძლებელი საქმეაო, რადგანაც სწორეთ იმ დროს საფრანგეთს გამოეცხადებინა ომი პრუსიისთვის და ამის გამო ორივე მხარეს თავ-თავის სამზღვრებზე ჯარი გამოეყვანათ და რამდონსამე ალაგას რკინის გზებიც წაეხდინათ. ამ მიზეზით გზა ძალიან გაგვიგრძელდა: ვარშავიდგან ავსტრიაზედ მოვიარეთ და აქედგან, შვეიცარიით, როგორც იყო, პარიჟში მივაწიეთ.

საკუთრივ შვეიცარიაში ჩვენ დავყავით მხოლოთ რამდონიმე დღე იმ აზრით, რომ გვენახა საზოგადოთ იქაური მეურნეობა და განსაკუთრებით აქაური გამოჩენილი ყველის კეთება. განსაკუთრებითი ყურადღება ჩემი მიიქცია ციურიხის მახლობლათ ვენახებმა, რომელნიც აქ უფრო ბლომათ არიან, ვიდრე სხვა შვეიცარიის ადგილებში. აქაური ვენახები სწორეთ იმ სახით არიან შემუშავებულნი, როგორც ჩვენს საქართველოში, მხოლოთ, გამოუცდელი თვალიც შენიშნავს იმას, რომ ვაზები ვენახებში ერთ რიგზედ და ერთს ზომაზედ არიან ნახარები; თვით ვენახებს არა აქვთ შემოვლებული არავითარი ღობე, როგორც ჩვენში. აქაური წესი ვაზების შემუშავებისა თითქმის არაფრით არ განირჩევა და არცა სჯობია იმ წესსა, რომელიც ჩვენშია მიღებული. მხოლოთ ისეთს დაცვას მამულისას, როგორიც აქ ვნახეთ, საქართველო დიდხანს ვერ მოესწრება. ჩვენს მეურნეობაში ულობოთ ყანების და ზვრების გაშვება შეუძლებელი საქმეა. ყურადღების ღირსია, რომ ყოველი უბრალო მეოჯახე მშრომელი ისე აფასებს აქ სხვის შრომას და ჭირნახულს, როგორც თავისას. შრომა და შრომის ნაწარმოები— საკუთრება—საზოგადოთ წარმატებისათვის და კეთილ-დღეობისათვის უნდა იყოს საზოგადოებისგანვე კარგათ დაცული; მაგრამ, სამწუხაროთ, აქამომდი ჩვენში ამ საქმეს ძლიერ სუსტი ყურადღება აქვს მიქცეული. მაგრამ, ვინ იცის, იქნება შემდეგში, როდესაც ჩვენშიაც ისე გავრცელდება განათლება, როგორც აქ, როდესაც ჩვენი უდაბნოები და კლდეები ისე შემუშავდებიან, როგორც აქ, როდესაც აქაურსავით ჩვენშიაც დაიწყებენ ვაგონები გრიალით ცურვას და გოგვას,—მაშინ იქნება ჩვენი ქვეყნის კაციც გაუფრთხილდეს და უფრო დააფასოს თავისი და სხვისი შრომა და ნაწარმოები. ვერავინ ვერ დამარწმუნებს, რომ ბუნებითი სიმდიდრით ეს ნაქები

შვეიცარია ბევრით სჯობდეს ჩვენს ქვეყანას. ახლა ათასობითი მოდიან აქ და მოგზაურობენ, ქალაქლდით და კარანდაშით ხელში, განსაკუთრებით ინგლისელები ორიევე სქესისა; ისინი აღტაცებაში მოდიან აქაური მთებით და იმათზე მიდგმული პატარა ქოხებით; მაგრამ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენშიაც ასე გაადვილებული იყოს მოგზაურობა, როგორც აქ, მაშინ ზოგიერთ ჩვენ ადგილებშიაც (მაგ. იმერეთში და ოსეთში) მოინახებიან ისეთი სურათები, რომლითაც დიახ შეიძლება აღტაცებაში მოვიდეს ყოველი კაცი.

შვეიცარიის სოფლების მეურნეობაში, როგორც ჩვენს ოსეთშიაც, პირველი ადგილი უპირავს საქონელს. მაგრამ რა განსხვავებაა აქაურს და მანდაურს საქონელს შუა? აი, რა მნიშვნელობა აქვს საქონელზე კარგათ შენახვას და მოვლას. შვეიცარიის ყველი და კარაქი ხომ განთქმულია თითქმის მთელს ქვეყანაში; აქ ორ ნაირ ყველს აკეთებენ: წმინდა, ნაღებ მოუხდელი რძისაგან და მეორე უფრო მდარე ყველი კეთდება ისეთი რძისაგან, რომელსაც ნაღები მოხდილი აქვს; ამ უკანასკნელ ყველს თავის შინაური მოსახმარათ აკეთებენ.

ციურიხიდგან წავედით ბაზელში, საცა თითქმის მთელი დღე დავრჩით ახლო-მახლო ადგილების დასახედავათ. აქ საზოგადოთ უფრო მომეტებული ნაწილი სახნავ-სათესი ადგილებია; ვენახებიც კი მოინახება. სადილათ ჩვენმა სასტუმროს მასპინძელმა მოიტანა საიდგანღაც ერთი ბოთლი თეთრი ღვინო და თავმოწონებით გვითხრა, რომ ამისთანა ღვინო, უეჭველია, თქვენ თქვენ დღეში არ დაგელევიათო. ამისთანა დაწმენდილი ღვინო მართლა მე იშვიათათ მინახავს, მაგრამ, როდესაც გემო ვნახე, სწორეთ ჩვენებური კოლონისტების ღვინოს ჩამოგვედა. სტოლზე მსხდომმა სტუმრებმა, რასაკვირველია, ეს ღვინო ძალიან მოიწონეს და ამის შემდეგ ჩვენმა მასპინძელმა კიდევ უფრო მოიწონა თავი. მე მომაგონდა, რომ პეტერბურღის გამოფენიდგან წამომქონდა ერთი ბოთლი წითელი ღვინო თ. დაეთ ბავეკაძის ზღვიდგან. წამოვდექი და ამოვიღე ჩემოდნიდგან ჩემი ღვინო. პირველათ ვაჩვენე ერთს მეურნეობის პროფესორს, რომელიც აქვე ისხდა. დალია თუ არა, ენა ჩაიწკლაპუნა და აღტაცებაში მოვიდა; ოტ-ოტა ყველას ერგო და ყველამ ერთხმით გადაწყვიტა, რომ თქვენებური კახური ღვინო ბევრათ სჯობნენია აქაურ ღვინოსაო.

მეორე დღეს ჩვენ გამოვედით ბაზელიდგან და შიგ საფრანგეთში შევადგით ფეხი. რადგან მკის დრო არის, ხალხი სულ მინდორში იყო და მკიდა. სოფლელი ხალხი აქაც ჩვენებურათ მკის: ნამგლითა და ცელით. ორთქლის სამკელი მაშინები, რადგან ისინი ძვირათ ღირან, მარტო დიდ მემამულეებსა აქვთ თურმე; მაგრამ საფრანგეთში დიდი მემამულეების რიცხვი ძალიან ცოტა არის, ასე რომ მაშინითა მკის ნახვას მე ვერ ველირსე.

ამ მოგზაურობაში, ერთი თვალის გადაღლებით, მე შევნიშნე, რომ საფრანგეთში ბევრგან განსაკუთრებითი ყურადღება ხილის მოშენებისთვის მიუპყრიათ. საცა არ გაიხედავდი, ყველგან ხილის ბაღები და იშვიათათ ვენახები დაგხვდებოდა. მართლაც, წვრილმანი მემამულეებისათვის ამნაირი მეურნეობა ყოველთვის უფრო გამოსადეგია. მაგრამ, უნდა ნახოთ, როგორ უვლის და თავს ეკლება საფრანგეთელი გლეხი ერთ ნამცეცა თავის ხილის ბაღსა, ან ვენახს; ყოველი ხილის ხე და ტოტი მიკრულია სარზედ და, თუ ხეები წყობათ არიან, მაშინ ლიტონის მოაჯირსავით აკეთებენ, იმ სიმაღლეზედ, რა სიმაღლისაც თვითონ ხეები არიან. ამნაირათ, თავიდანვე მოვლით, ხეს ეძლევა ის ფორმა და სისწორე, როგორიც მებაღესა ჰსურს.—შესანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ აქაურ ვენახებში ვაზების ტოტები სამპირი მეტალის მავთულებით არიან გაკრულნი და გამაგრებულნი რიგზედ დარჭობილ ბოძებზედ.—

საზოგადოთ სამეურნეო იარაღები იმ საფრანგეთის ნაწილში, საცა მე მოვგზაურობდი, ძალიან იშვიათად იპოვება და, საცა ნახავთ, ისიც ინგლისიდან (რამსონ და კომ.) არიან მოტანილი.—

ივ. სულხანოვი.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ წელს, შემოდგომაზე, ოდესაში იქნება ღვინისა და თამბაქოს გამოფენა. შეეტველია, ჩვენი მხრიდანაც ბევრი მოიღებს მონაწილეობას ამ გამოფენაში და გაგზავნის ღვინოებს მაინც. ის კომიტეტი, რომელიც თაობს ამ განოფენაში, აცხადებს ახლა გაზეთებში, რომ, იმის მეცადინეობით, უფ. ჩიხაჩოვმა, რომელიც „პაპრობისა და ზღვაში მოგზაურობის რუსული საზოგადოების“ *Русское общество пароходства и торговли*). დირექტორია, მოახდინა განკარგულება, რომ ოდესაში გამოსაფენი საგნების წასაღებათ ფასიანი გადახდეთ იმათ, ვინც რუსის საზოგადოების ხელმანდებით მოინდომებენ ამ საგნების გაგზავნას. ამისთვის ერთი პირობაა მხოლოთ საჭირო, გასაგზავნ საქონელზე უსათუოთ შემდეგი ადრესი უნდა იყოს ზედ წარწერილი: *Въ распорядительный комитетъ по выставкѣ виноградія и тобаководства, въ домѣ Императорскаго общества Сельскаго Хозяйства Южной Россіи, въ Одессѣ, въ городскомъ саду.*—

მიწის ისტორია ანუ გეოლოგია

(განგრძელება)

III

წინა თავებში მოვილაპარაკე მკითხველთან ორ პერიოდზე:

პირველი იყო ცეცხლის მეფობის ჟამი და მეორე კი წყლისა.

ამ უკანასკნელ პერიოდში, როგორც იცის მკითხველმა, გაჩნდნენ ოკეანებში ორგანოსნები (ცხეულები); ამის გარდა დაიწყო სულ სხვა ნაირ მიწის ფენამ ჩამოჯდომა ოკეანეს ძირში და ამის გამო ამ პერიოდს უწოდებენ გადამიჯვებით პერიოდს (Переходный періодъ).

ეს გადამიჯვებით პერიოდი შეიცავს რაოდენსამე მოკლე პერიოდებს, ანუ ფორმაციებს; მაგრამ მკითხველს თავი რომ არ მოვაწყინო მრავალ ფორმაციების აღწერით, მე ამ თავში მოვილაპარაკებ ერთ ძალიან შესანიშნავ პერიოდზე, რომლის მოწყალებით ასე კეთილდღეობს ახლანდელ დროში განათლება და რომელმაც ძალიან ააჩქარა მისი გავრცელება ქვეყანაზე. ეს შესანიშნავი დრო ქვის ნახშირის პერიოდია, ანუ ის დროა, როცა გაჩნდა ქვის ნახშირი დედა-მიწის ზურგზე.

მაგრამ, მგონია, კიდევ ვერ მიხვედა მკითხველი მას, თუ როგორ ააჩქარა ქვის ნახშირმა განათლების გავრცელება ქვეყანაზე.

აი, როგორ:

ისტორია გვიჩვენებს მრავალ მაგალითებს, რომ იმ ერს, რომელსად ჰქონია გაადვილებული მიმოსვლა სხვა ერთან, დაუწყია ვაჭრობა და ამის გამო ის გამდიდრებულა; ამისთანა ერს არ უცხოვრია თავის დღეში მონების ქვეშ და კიდევაც ჩქარა მიუღია განათლება.

აქედან შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ

ერის განათლებისათვის აუცილებელათ საჭიროა სიმდიდრე, რომელიც იბადება ეაჭრობიდამ.

ᲒᲮᲐᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲛᲘᲛᲝᲡᲚᲔᲚᲐ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲔᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲔᲚᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲭᲐᲠᲑᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲔᲡ ᲛᲘᲛᲝᲡᲚᲔᲚᲐ, ᲘᲡᲔ ᲔᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ.

ᲐᲮᲚᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲕᲝᲜᲝ, ᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲜᲘᲪ ᲜᲐᲮᲔᲔᲐᲠ ᲗᲘᲗᲘ ᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲝᲠᲗᲝᲡ ᲐᲜ ᲝᲠ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲒᲐᲒᲐᲠᲑᲔᲜᲘᲜᲔᲑᲔᲜ; ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲜᲘᲪ ᲐᲡᲔ ᲩᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲗᲘ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲝᲑᲔᲜ ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ ᲔᲑᲠᲫᲘᲐᲜ ᲛᲐᲗ ᲪᲘᲒ ᲖᲔᲘᲠᲗᲔᲑᲡ.

ᲐᲘ, ᲕᲘᲜ ᲬᲐᲡᲬᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲰᲤᲘᲜᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲪᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ, ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲑᲘ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ ᲐᲛ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲗ (ᲫᲐᲚᲘᲗ); ᲛᲐᲛᲐ ᲡᲐᲓᲐᲛᲔ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐ ᲔᲡᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲪ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲐᲮᲭᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲔᲠᲪᲔᲚᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲓᲠᲝᲨᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ, ᲦᲘᲠᲡᲘᲐ ᲛᲘᲒᲐᲪᲘᲝᲗ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲪᲜᲝᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘ.

ᲨᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲮᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ (ᲒᲐᲔᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ) ᲓᲔᲓᲐ-ᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ. ᲘᲡ ᲘᲠᲝᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲨᲘ, ᲡᲐᲪᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲘᲪᲮᲔᲔᲑᲘᲐ, ᲘᲡᲔ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲗᲝᲕᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲜᲔᲑᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ, ᲐᲠᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲔᲔ ᲒᲐᲕᲐᲠᲘᲡᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ.

ᲐᲛ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲕᲘᲠᲑᲘ, ᲙᲐᲚᲐᲛᲘᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘ.

ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲡᲬᲐᲔᲚᲣᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲘᲮᲔᲓᲛᲝᲘᲮᲔᲓᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲗᲥᲕᲐᲠᲘ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘ ᲘᲮᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲪᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲝᲢᲘᲗᲘ ᲰᲐᲕᲐᲐ. ᲐᲥᲔᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲝᲢᲘᲗᲘ ᲰᲐᲕᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲨᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘᲐᲪ.

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲔᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲓᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲠᲝᲚᲙᲐᲜᲔᲑᲘ, ᲐᲜ ᲪᲔᲪᲮᲚ-ᲛᲭᲘᲜᲐᲕᲘ ᲛᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲐᲛᲘᲡᲬᲘᲚᲘᲡ ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲘ.

ᲔᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲘ ᲨᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲜᲔᲚᲔ-ᲜᲔᲚᲔᲚᲐ, ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲔᲚᲝᲛᲑᲐᲨᲘ, ᲓᲐ ᲐᲜᲝᲢᲘᲔᲑᲓᲔᲜ ᲰᲐᲕᲐᲡ.

ᲔᲡ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲪᲣᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲬᲧᲘᲜᲐᲠᲘ ᲰᲐᲕᲐ ᲘᲧᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲫᲚᲝᲗ ᲔᲪᲮᲝᲠᲐᲗ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲜᲘᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲔᲜ ᲬᲘᲜᲓᲐ ᲰᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲬᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲡ.

ᲐᲛᲘᲡᲘᲗᲐᲜᲐ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲠᲝᲕᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲥ. ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲬᲧᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲘᲠᲝᲕᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲔᲡᲗᲥᲕᲘᲗ, ᲙᲐᲚᲐᲛᲘᲢᲔᲑᲘ, ᲒᲕᲘᲛᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲑᲐᲚ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘ.

ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲐᲥ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲕᲔᲛᲓᲠᲝᲛᲘᲡ *) ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲜᲘᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ ᲓᲘᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲕᲘᲛᲪᲘᲪᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲫᲔᲚᲔᲑᲘ.

ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲡᲬᲐᲔᲚᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲠᲩᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲰᲐᲕᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲘᲧᲝᲗ ᲝᲠᲘ:

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲮᲛᲔᲚᲔᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲐᲓ ᲘᲧᲝᲗ ᲖᲦᲕᲔᲑᲨᲘ ᲐᲛᲝᲩᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲬᲐ ᲘᲥᲐ-ᲐᲥᲐ ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲑᲖᲔ; ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲖᲔ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲛᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲨᲔᲨᲕᲔᲚᲝᲜ ᲠᲐᲨᲓᲠᲝᲜᲘᲜᲘᲛᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲔᲪᲘᲪᲮᲔᲑᲘᲐ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲰᲐᲕᲐ. ᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲨᲔᲛᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲜᲘᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲜᲝᲢᲘᲔᲑᲓᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲗᲝᲑᲝᲑᲓᲔᲜ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲰᲐᲕᲐᲡ; ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲘ, ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲧᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲔᲔ ᲰᲐᲕᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲖᲔᲓᲐᲪ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲰᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲗᲝᲛᲡᲘ ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲬᲐᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲘᲛᲝᲓᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲒᲐᲔᲮᲣᲠᲕᲔᲑᲘᲜᲐ ᲘᲡ ᲰᲐᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲠᲗᲯᲐ ᲛᲐᲡ.

ᲐᲮᲚᲐ, ᲔᲜᲐᲮᲝᲗ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲐ ᲔᲡ ᲥᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ.

ᲡᲬᲐᲔᲚᲣᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲥᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲜᲘᲪ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲓᲐᲥᲪᲔᲣᲚᲐᲜ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲐᲓ.

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲪᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲞᲝᲕᲔᲑᲐ ᲥᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ, ᲯᲔᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲮᲛᲔᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲘ ᲢᲧᲔᲔᲑᲘᲗᲐ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲐᲛ ᲐᲚᲐᲒᲡ ᲓᲐᲣᲬᲧᲔᲕᲘᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲡᲣᲚ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲩᲐᲛᲐᲚᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲡᲐᲛᲔ ᲐᲗᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲢᲧᲔᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲧᲕᲜᲔᲜ ᲗᲐᲜ ᲐᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲡ, ᲒᲐᲓᲐᲥᲪᲔᲣᲚᲐᲜ ᲥᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲥᲘᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ.

ᲔᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲡᲔᲔ ᲐᲛᲝᲬᲧᲔᲣᲚᲐᲜ ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲑᲖᲔ, ᲛᲝᲪᲣᲚᲐᲜ ᲮᲔᲚ-ᲐᲮᲚᲐ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲡᲔᲔ ᲓᲐᲬᲧᲔᲣᲚᲐᲜ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ-ᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲘ.

ᲐᲔᲗᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲜᲐ, ᲐᲛᲐᲡ ᲒᲕᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲮᲚᲜᲓᲔᲚ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲠᲔᲜᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡᲐ ᲡᲣᲚ ᲘᲬᲧᲔᲐ ᲫᲘᲠᲘᲡ ᲐᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲙᲚᲓᲔᲔᲑᲘ ᲓᲒᲐᲜᲐᲜ ᲐᲮᲚᲐ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲬᲘᲜ ᲘᲓᲒᲜᲔᲜ ᲮᲛᲔᲚᲔᲗᲘᲡᲖᲔ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲕᲔᲜ ᲫᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲤᲐᲠᲒᲘᲐᲜ ᲬᲧᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲮᲐᲜ ᲘᲡᲔᲔ ᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲖᲔᲦᲕᲘᲗ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲩᲔᲜᲔᲗ ᲔᲣᲦᲔᲓᲐᲔᲗ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ.

ᲜᲔᲐᲠᲝᲚᲘᲡ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲓᲒᲐᲜᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲠᲝᲜᲘᲛᲔ ᲛᲐᲠᲛᲐᲠᲘᲚᲝᲡ ᲡᲔᲔᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲜᲘ ᲫᲘᲔᲚ ᲙᲔᲠᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲪᲐᲓᲘᲡᲒᲐᲜ. ᲘᲡ ᲡᲔᲔᲢᲔᲑᲘᲡᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘᲡ ᲖᲔᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲣᲠᲚᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲠᲔᲨᲘᲛᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲣᲪᲮᲝᲠᲘᲐᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ ᲡᲬᲐᲚᲣᲚᲔᲑᲛᲐ, ᲖᲔᲘᲗᲘᲡ ᲬᲧᲠᲘᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ (ᲛᲐᲢᲚᲔᲑᲡ), ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲖᲔᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲘ.

ᲐᲥᲔᲓᲒᲐᲜ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐ ᲔᲡ ᲘᲗᲥᲕᲐᲗ: ᲡᲐᲪᲐ ᲔᲡ ᲡᲔᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲒᲐᲜᲐᲜ ᲯᲔᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲮᲛᲔᲚᲔᲗᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲣᲨᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲘ, ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲬᲔᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲖᲔᲦᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲡᲔᲔ ᲐᲛᲝᲬᲧᲔᲣᲚᲐ—ᲖᲔᲦᲕᲘᲓᲒᲐᲜ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘᲪᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲘᲬᲔᲕᲝᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ ᲥᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘᲐᲪ.

ᲩᲕᲔᲜ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲔᲡᲗᲥᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲐ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲥᲘᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ. ᲐᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

ᲨᲝᲕᲔᲚᲘ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲮᲕᲔᲣᲚᲘ *) ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲐᲠᲢᲘᲔ ᲡᲮᲕᲔᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲐᲜᲣ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲛᲝᲐᲙᲚᲓᲐ, ᲛᲝᲨᲝᲠᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘ ᲐᲛ ᲠᲗᲣᲚ ᲡᲮᲕᲔᲣᲚᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲡ ᲘᲠᲚᲕᲔᲕᲐ. ᲐᲡᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲐᲥᲐᲪ: ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲜᲘ ᲡᲐᲛ ᲛᲐᲠᲢᲘᲔ ᲡᲮᲕᲔᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲜᲣ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ: ᲜᲐᲮᲨᲘᲠ-ᲗᲐᲕᲐ, ᲬᲧᲐᲚ-ᲗᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲫᲐᲠ-ᲗᲐᲕᲐᲡᲐᲒᲐᲜ.

*) ᲛᲔᲥᲕᲔᲛᲓᲠᲝᲛᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲜᲐᲜ: ᲒᲕᲔᲚᲘ, ᲑᲐᲯᲘᲘ, ᲙᲣ, ᲮᲕᲘᲗᲥᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

*) №№ 9 ᲓᲐ 10 „ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ“.

როდესაც ხე, ანუ სხვა მცენარე მოკვდება, დაიწყებს ის ლპობას, ანუ რღვევას მიტომ, რომ ძმარ-თავა, რომელიც არის ჰაერში შეერთდება დამპალ ხის ნახშირ-თავასთან და გამოაცლის (მას) ხეს და შეადგენს გაზს ანუ ნახშირ-ძმარას, რომელიც ძალიან მაინებელია კაცის სიმრთელისათვის. როცა ამ გვარათ გამოეცლება ხეს ნახშირ-თავა მაშინ დარჩებიან მხოლოდ ორი მარტივ სხეულები: წყალ-თავა და ძმარ-თავა.

მაგრამ ისინი მაშინათვე მოშორდებიან ხეს წყლათ, რადგანაც მათ მოშორდა ის მარტივი სხეულნი (ნახშირ-თავა), რომელნიც შეადგენდნენ ხეს.

ამნაირათ მოხდა ქვის ნახშირის გაკეთება ოკეანების ქვეშ. ის ტყეები, რომელნიც იყვნენ წყლის ქვეშ, დაირღვევ ამ კანონის ძალით და იქცნენ შავ მიწად. ეს შავი მიწა შეზავდა სხვა და სხვა ზღვის მარილებით *) და იქცა ქვის ნახშირათ საშინელის წყლის სიმძიმის ქვეშ.

დ. ჩ ქ ო ტ უ ა.

(შემდგომი იქნება).

1870.

ᲝᲓᲔᲡᲐ

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

ზოგიერთი იკითხავს ჰაერი და წყალი რა საზრდო უნდა იყოსო? — ამის პასუხი წინეთაც ვთქვით, რომ ჰაერი და წყალი ჰაერგვარებისგან არიან შემდგარნი და იმთგან ბუნებას არამც თუ მარტო შაქარისა და სახამებლისა, ყოველი საკვირველი ნივთის გაკეთება შეუძლია. ამასთანავე ესეც ხომ ვიცით, რომ ჰაერში ბევრი ნახშირ-თავა იმყოფება. ის ჰაერში იმდენია, რომ მცენარის გასაზდელათ ეყოფა. — ამასთან ცოტა რამეს წყალიც აძლევს; ამისთვის რომ მიწის ქვეშე მყოფ წყალში ყოველთვის არის მადნეული და დარღვეულ ცხოველ-მცენარის ნაწილები, რომელნიც გაიხსნებიან წყალში.

* * *

ახლა უნდა ვთქვათ, რომ ყოველი ცხოველი ერთგვარათ არ მოძრაობს. ერთი მეორეზე უფრო მარდათ მოძრაობს. რომელიც უფრო ნოყიერი საზდოთი რჩება, ის უფრო მარდათაც მოძრაობს და რომელნიც არას განიკითხვენ, რასაც იშოვნიან, ყოველფერს საზრდოთ ხმარობენ, იმათ თითქმის სულაც არა აქვთ მოძრაობა, ან დადიან ძალიან ნელათ. მაგალითად, ვთქვათ, ზღვის ჭიები, რომელთაც სწავლულები პოლიპებს უძახიან, ან კიდევ ზღვის მრავალნი არსებანი, რომელთაც ცხოველ-მცენარეებს ეძახიან. ისინი სხვადან ზღვის ძირათ, რომელსამე ქვაზე დამაგრდებიან და ანძრევენ თავის ტოტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი შოულობენ ყოველ წვრილმან გამოუყენებელს ნივთიერებას, რაც მოხვდებათ და იმით რჩებიან. თუ იშოვიან, მაძღრათ არიან, არ იშოვიან და, უმისოთაც არა უჭირსთრა.

* * *

მაგრამ, თუ ცხოველი მოძრაობს, განა მარტო საზდოს მოსაპოვებლათ კი არ მოძრაობს. ამას გარდა ცხოველს სხვა საჭიროებაც აქვს; მაგალითად, როცა უნდათ საშიშ მტერს გაექცენ; ავდარს, ყინვას შეეფარონ, თავის თავი და შვილები დაიცვან: განა სხვა საჭიროება კი ცოტა გამოუჩნდებათ; აქაც ბევრი ისეთი უბედურება სდევნის ცხოველს, რომ მოძრაობა არ ჰქონდეს, უეჭველათ დაღუპება.

* * *

ცხოველებს აქვთ ორგანები, იარაღები, რომელნიც გამოარჩევენ მარგებელს ნაწილებს და ისინი შეაქვთ ტანში; სხვანი კი, რომელნიც მათთვის უხმარნი არიან, გამოჰყავთ გარეთ. მცენარეებს ამისთანა ორგანები არა აქვთ და არც უნდათ, ამისთვის რომ მცენარენი უიმათოთაც დარჩებიან: მცენარეები პირდაპირ იღებენ მიწიდგან და ჰაერიდგან ამისთანა ნაწილებს, რომელნიც პირ-დაპირ გადადიან იმათ სხეულში. მაგალითად, ჰაერში რომ ნახშირ-ძმარა იმყოფება, იქიდგან მცენარე სწოვს ნახშირ-თავას და ძმარ-თავას უშვებს; მადნეულობის მეტი რომ არა ყოფილიყო რა ქვეყანაზე, მცენარეები როგორც ახლა იზდებიან, მაშინაც ისე გაიზდებოდენ და იცხოვრებდენ, რადგან იმათი საზრდო მადნეულია; ცხოველს კი მარტო მადნეულით არ შეუძლიან დარჩენა, თუ მცენარეც არ არის. ის ყველა ბუნების სამეფოებიდგან იღებს თავის საზდოს, ან არადა მცენარიდგან მაინც უეჭველათ. ამისთვის მცენარე რომ არ ყოფილიყო ქვეყანაზე, არც ცხოველი იქნებოდა.

* * *

აი, რა საკვირველი მოწყობილობისაა ბუნება! ქაცს ამ ბუნებაში პირველი ალაგი უჭირავს თავისი ჭკუით. ყველამ ვიცით, რომ ჩვენი სხეული თითქმის ისეა აგებული, როგორც ცხოველისა. მაგრამ ჩვენ ყოველის შემოქმედმა ბევრი რამე იმისთანაც მოგვანიჭა, რომ ცხოველს არა აქვს.

* * *

ქაცი ორ ფეხზე ამართულა და ისე დადის; ცხოველი კი ოთხზე დგას. ამისთვის ძელების აგებულებაც კაცს სხვანაირათ აქვს. იმას ორი ფეხი აქვს და ორი ხელი. ჭეშმარიტი ნაწილი პირის სახისა არ ოდეს ისე გამოწეულა არა აქვს კაცს, როგორც ცხოველს, ასე გამშინჯვე, მაიმუნსაც, თუმცა ესენი ყველაზე უფრო გვანან კაცს. ამასთანავე კაცი ყოველ ქვეყანაში და ყოველს ალაგას ცხოვრობს. მაშინ როდესაც ზოგიერთი გვარი ცხოველისა მხოლოდ ცხელს ადგილებზე ცხოვრობს, ზოგი გრილ ადგილებზე და სხვანი მხოლოდ ციეს ქვეყნებში. მხოლოდ შინაურს ცხოველებს შეუძლიანთ გაძლება ყოველგან, საც კაციც ცხოვრობს, ამისთვის რომ კაცი ყურადღებას უგდებს იმათ, როცა ძალიან სიცხეა, თბილ სახლებში აბამს და როცა ძალიან სიცხე გრილს ალაგებზე ამყოფებს.

* * *

ქაცსა და უმაღლესი ხარისხის ცხოველებს აქვთ ხუთი გრძნობა: მხედველობა, ყურთა-სმენა, ყნოსვა, გემო და შეხება. როგორც კაცი, ასევეთვე ცხოველი თვალებით ხედავს, ყურებით ისმენს, ცხვირით ყნოსავს და ენაკაცობა სუნენით გემოვნებას, და რაც კი შეგვეხება, ამ მოგვეკარება, ყოველფერს კანით ეგრძნობთ.

ეს ხუთი გრძნობა გარეგანია, ამიტომ რომ ყოველს ამ ხუთ გრძნობას თავის ორგანონ ანუ იარაღი აქვს; ისინი სულ გარეთ ტანზე არიან მოწყობილნი და არა შიგნით, ტანში. გარეთ იმისთვის არიან ეს ორგანები, რომ ტვინის ძაფების შემწეობით იმათ აცნობოს ტვინს ყოველივე, რაც ქვეყანაზე და კაცის გარემო მოხდება და თუ კაცი შიგნით ტანში ჭგრძნობს შიმშილს, ან წყურვილს, ან გულის რევას, თუ გულის წვას, ან სხვა რასმე შინაგანს ტკივილს, ამას ეძახიან შინაგან გრძნობას და არა გარეგანს.

*) მარილს ეძახიან ყველა იმ ნივთებს, რომელნიც არიან გამდნარი ზღვის წყალში.

თუ კაცი კარგათ არის, ეს ხუთი გრძნობა თანასწორათ მუშაობს, ერთი მეორეს არ გადაემატება; ცხოველს კი ასე არა აქვს. ზოგიერთს ერთი გრძნობა მეტად გაღვიძებული აქვს მეორეზე, ისე რომ კაცის გრძნობას ვერც კი შეადარებ.

იმისთანა ცხოველია, რომელიც ერთ ვერსზე იგებს, რასაც კაცი ხუთს საჟენზე ველარ იტყობს. არწივი სამი ოთხი ვერსის სიმაღლიდგან ირჩევს ძირს პაწაწა ჩიტს და ზევიდგან ისე ჩქარა დაეცემა თავზე, რომ საწყალი ჩიტი გადახტომასაც ველარ მოასწრებს. ძაღლის ყნოსვა კიდევ უფრო ფხიზელია, ვინამც არწივის მხედველობა! ძაღლი კვალზე დატოვებულ სუნით სად არ მონახავს თავის პატრონს, თუ ის ფეხით დადიოდა და არა ცხენით, ან თუ არ ცურავდა. მეძებარი ყოველ ნადირს, ან მხეცს ყნოსვით, ანუ სუნით მიაგნებს, ზოგი ცხოველი კაცზე ბევრათ უფრო ღონიერია. ცხენი რამდონიმე კაცზე უფრო ღონიერია და იმაზე უფრო ჩქარაც გარბის. ბუნებას ჩვენთვის ისეთი ორგანო, ანუ იარაღი არა მოუცია, რომ მტერი მოვიგეროთ. ცხოველებს კი მისცა ამისთანა ორგანები: ერთისთვის რქები მიუცია, მეორესთვის ბასრი კბილები, ან კლანჭები, მესამე შემოსა ეკლებით, მაგალითად ზუძგი; მეოთხეს გესლიანი ნესტარი გამოაბა; ერთი სიტყვით, ყოველ ცხოველს თავის შესაფერი იარაღი აქვს.

*
* *

სჩანს, რომ თუ ცხოველს შეადარე, კაცს ბევრი რამ აკლია. მაშ ცხოველი ბევრში გვჯობნებია. ეს მართალიც არის, მაგრამ ღმერთმა მისცა კაცს ჭკუა და ბევრი სხვაც რამე. ჩვენი ჭკუა ისეთი ღონეა, რომ ყველას მაგიერობას შვრება, რაც ჩვენ არა გვაქვს და ცხოველს აქვს. ის კი არა კაცი თავის ჭკუით ძალიან მაღლა დგას ყოველს ცხოველზე. კაცი თავის ჭკუით ბუნების მეფეა. აი, ეს ღვთისგან მოცემული ნიჭი, ეს ჭკუა, ძალიან ძვირფასი საქონელია კაცისთვის.

*
* *

ამას გარდა კაცს ლაპარაკის ნიჭიც აქვს. ივას შეუძლიან სიტყვებით გადასცეს სხვას, რასაც თვითონ ჰფიქრობს, გადასცეს სხვას თავისი აზრი. ცხოველს არა აქვს ეს ნიჭი. „როგორ არა აქვსო!" — იტყვის მკითხველი. თუთიყუშები, შოშიები, გაწაფული ჯაფარები თითქოს კაცი იყონ, ისე ლაპარაკობენ. მართალია, შეიძლება ერთი ორი სიტყვის გამოთქმა დაასწავლოს კაცმა, მაგრამ ლაპარაკს და თავის აზრის გადაცემას ვერაოდეს ვერ ისწავლიან. რისთვის? — ამისთვის რომ ღმერთმა არ მისცა არც შოშიას, არც ჯაფარას ისეთი კარგი ჭკუა, როგორიც კაცსა აქვს. ჭკუის მაგიერათ მოხერხება აქვთ. იგინი გამოთქმენ იმ სიტყვას, რასაც ჩვენ ვეტყვით, მაგრამ არაფერი კი არ ესმისთ.

*
* *

კაციც ეგრე ცხოვრობს, როგორც ყოველი სულიერი ქმნილება; ის სჭამს, სვამს, ძინავს, სუნთქავს და მოძრაობს. ამისთანა ცხოვრებას—ცხოველის ცხოვრებას ეძახიან. მაგრამ კაცს სხვა განსაკუთრებული ცხოვრებაც აქვს. ამისთანა ცხოვრება არც ერთს ცხოველს არა აქვს. ამისთანა ცხოვრებას ეძახიან სულიერს ანუ პ ს ი ხ ი უ რ ს ცხოვრებას. ეს სიტყვა ბერძნულია და წარმოსდგება სიტყვისგან პ ს ი ხ ე, რომელიც ჩვენებურათ ნიშნავს ს უ ლ ს; რომელსამე ავათმყოფობას თუ პსიხიურს ეძახიან, ეს ნიშნავს სულის ავათმყოფობას. ყველამ იცის, რომ სულს არაფერი სტკივა, ის ხორც შესხმული არის, მაგრამ იმას საკვირველი ნიჭები აქვს; მაგალითად, გონიერება, მეხსიერება, ნება. ეს ნიჭები შეიძლება აირ-დაირიონ. ეს ნიშნავს, რომ კაცს სულის ავათმყოფობა დაემართა. კაცი ამდროს დაბნეულია, როგორც იტყვიან, ის შემცდარია. მაგალითად, შეშლილობა, უაზრობა, ჩაფიქრება—სულ ესეები პ ს ი ხ ი უ რ ნ ი ავათმყოფობანი არიან, ესე იგი სულიერ ავათმყოფობანი და არა ხორციელნი.

*
* *

ზოგჯერ სულიერ ავათმყოფობისაგან კაცს ხორციელიც დაემართება; მაგალითად, შიშისაგან, ან უეცრად სიხარულისაგან შეიძლება კაცი ავათ გახდეს და კიდეც მოკვდეს. აგრეთვე ხორციელ ავათმყოფობისგანაც შეიძლება სულიერიც გაუჩნდეს; მაგალითად, სახადისაგან, როდესაც ძალიან ბევრი სისხლი აუვარდება თავში ავათმყოფს, ან თუ რამე თავის ტვინს დაუშავდა, დაემართება ბოდვა, მეხსიერობა დააკლდება და კაცი მაშინ სულ გამოჩურჩუტდება, ჭკუაზედაც შესცდება. ახლა ცხადათ ვხედავთ, რა არის პსიხიური, ანუ სულიერი ცხოვრება. ეს ცხოვრება არ ქვია არც კუჭის მუშაობას, არც გულისას, არც ფილტვებისას. აქ მუშაობს ჭკუა, გონიერება, მეხსიერება, ნება.

*
* *

მაგრამ კარგათ რომ დააცქერდე ცხოველის ცხოვრებას, და ცოტა დაფიქრდე, მაშინ შენიშნავთ, რომ იმათ აქვთ ისეთი რამე, რომელიც ჰგავს ჩვენს სულიერს ნიჭებს; იმათაც აქვთ აგრეთვე ცოტა გაგებაც, გონიერებაც და მეხსიერება, ზოგს ისეთი მეხსიერება აქვს, რომ კიდეც გაგაკვირებს. ვისაც ესეები არა სჯერა, ის, მაგალითად, ვერაოდეს ვერ გაიგებს აი ამ შემთხვევებს. რამდენიც უნდა სცემო ძაღლს, ან შიმშილისაგან მოკლა, მაინც რომ თავის პატრონს არ მოშორდება, ეს რისგან არის? და თუ პატრონი მოეფერა, მაშინვე კუდის ქნევას დაიწყებს სიამოვნებით და ხელს ულოკავს! მაგრამ მგელს, რაც უნდა მოეფერო, მაინც ტყისკენ მირბის, თუმცა ისიც ძაღლის გვარის არის. კატა რომ მთელი ერთი საათი დამალული უცდის თაგვს იმის ხვრელთან, ეს რას უნდა დავაბრალოთ? — იმიტომ რომ უნდა თაგვი მოატყუოს. როდესაც ძაღლი კატას გამოუდგება, ის რომ არ მირბის, არამედ შეხტება ან ღობეზე, ან სახლის თავზე და იქ უშიშრათ ზის, რა მიზეზის გამო შვრება ამას? იმიტომ რომ იცის, ძაღლი ხეზე ვერ შემოვა, რამდენსამე ხანს იყეფებს მხოლოდ და გაჩუმდება. ამისთანა მაგალითები ცხოველის გონიერების დასამტკიცებლათ ისე ბევრია, რომ კაცი ვერ მოსთვლის. ზოგჯერ რომ ჰხედავ, როგორის მოხერხებით შოულობს ცხოველი თავის საზდოსა, ან ემალება თავის მტერს, ძალიან გაკვირდები. ან ზოგიერთი ცხოველები ერთად, ამხანაგობით რომ დაიწყებენ მუშაობას საზდოს შესაკრეფათ ზამთრისთვის, ან მყუდრო ალაგის მოძებნას თავისა და შვილებისთვის — სწორეთ გიკვირს იმათი გონიერება ამ შემთხვევაში.

*
* *

მაგრამ ეს მაინც ვერ შეედრება ჩვენ სულის ნიჭიერებას. ეს იმისთვის არის ასე, რომ ღმერთმა მისცა კაცს ნამდვილი გონიერება და საუკეთესო აზრი. კაცი ისეთებს იგებს, რომ არც თვალით დანახვა, არც ყურით გაგონება, არც ხელით შეხება არ შეიძლება იმათი. ჩვენ, მაგალითად, გვესმის რა არის პატიოსნება, ან რა არის უპატიოსნობა, ბოროტება, სიმტყუვნე, გაუმაძღრობა, გულკეთილობა,

სიყვარული, სიძულილი, მეგობრობა, ჩხუბი, მტერობა. ქაცებს სარწმუნოება აქვთ. იმათ იციან სხვა და სხვა მეცნიერება, სხვა და სხვა ხელობა და ალეგ—მიცემობა. თუ კაცს უნდა, ყოველიფერს მეცნიერებას ისწავლის, ოღონდ სურვილი და მოთმინება ჰქონდეს, ან ზარმაცობით გვერდზე წამოწოლა არ უყვარდეს. და რაც კაცებმა მეცნიერება და ხელოვნება იციან, თავისით ხომ არ გაჩენილან ისინი. ყოველიფერი კაცმა მოიგონა, სულ ესეები კაცმა შეადგინა; ყოველფერს გონებით მიხვდა. ერთმა შთამომავლობამ მაგალითად მამა-პაპებმა ერთი რამე მოიგონეს და რაც მოუგნიათ, ყველას თავის შვილებს ასწავლიან. ესენი თავის მხრით, როცა გაიზდებიან, ფიქრობენ და რასმე მიუმატებენ თავის მამების მოგონებულს. ასე მიჰყვება შთამომავალობიდგან, შთამომავლობამდის. მეცნიერება და ხელოვნება წლითი-წლობამდის იზრდება და ყოველ დღე უფრო და უფრო დიდს სარგებლობას აძლევს ერს.

*
* *

ბევრი იყო იმისთანა რამ, რაც ჩვენს წინაპარებს არ სცოდნიათ და ჩვენ ეხლა ხელის გულივით ვიცით. ბევრია იმისთანა, რაც ჩვენ არ ვიცით, და ჩვენს შთამომავლობას ეცოდინება. ჩვენი წინაპრები აზრითაც ვერ მოისაზრებდენ, რომ წყლის ორთქლი რკინის გზაზე ერთ დღეს იმდენს გვარბენინებს, რამდენსაც ფეხ მარჯვე ცხენი ერთ თვესაც ვერ გაივლის. თუნდ ტელეგრაფი ავილოთ. წვრილი რკინის მართულებით შენი სიტყვა ელვასავით ჩქარა გარბის ერთი ქვეყნის ნაპირიდგან მეორე ნაპირში. ჩვენი წინაპრები ერთ წელიწადსა ვერ მოახერხებდენ ამ სიშორეს სიტყვის გადაცემას. ჩვენი წინაპრები როგორ წარმოიდგენდენ, რომ მზის შუქებით ერთს წამს შესაძლებელი ყოფილიყოს კაცის ნახატის გადაღება, რომელიც გაჰრილს ვაშლსავით ემგზავსება ნამდვილს სახეს. ძველ დროს ერთს კვირასაც ვერ დახატავდა კაცი ერთს სურათს და კარგი ნიჭიერიც უნდა ყოფილიყო, რომ კარგათ მიემგზავსებინა.

*
* *

რაც წინათ ვთქვით ბუნებაზე, ყველა რომ კარგათ მოვიფიქროთ, აი, რა გამოვა. თუ მთელი ბუნება შედგენილია მადგნეულებისაგან და ცხოველებისგან, და ესენი ყველანი ცხოვრობენ, მაშ მთელი ბუნებაც ცხოვრობს. ეს მაინც ასეა. სადაც უნდა გაიხედო, თუ ახლოს, თუ შორს, თუ შიგნით მიწაში, ყოველგან გაუწყნარებელს მუშაობას ჰხედავ, ყოველს წამს ერთი ნივთიდგან მეორე კეთდება; ეს კიდევ სხვას გააკეთებს და ამ მიყოლებას დასასრული არა აქვს. ჰხედავ, რომ სხეული ან იმის ნაწილები ხან შეერთდებიან, ხან განაწილდებიან; მერე ამათგან ისევ ახალი ნივთები გამოდის, რომ ბოლოს თავის რიგსაც ჰხვდენ; იმათაც მოუათ აგრეთვე დასასრული. ეს გაუთავებელი მუშაობა, ნიადაგ ერთი სხეულის გადაცვლა გადაკეთება მეორე სხეულათ, ძველი ნაწილების შეცვლა ახალზე—აი, ამ დაუწყნარებელს მუშაობას ვეძახით ჩვენ ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს.

*
* *

ბუნებას თავის კანონები აქვს. იმას ერთ წამსაც არ შეუძლიან გადახტეს ამ თავის კანონებსა; იმიტომაც განმგებს თავის ოჯახობას წესიერათ, დიდის ანგარიშით. არც ერთი მარცვალი, არც ერთი თმა, არც ერთი, რაგთქვა, ბუსუსი უანგარიშოთ არ ჩნდება. უეჭველათ ყოველი იმათგანი რასმეში საჭიროა; როცა მოკვდება, თავის დანარჩენს ნაწილებს როგორც სამკვიდროს სტოვებს ქვეყანაზე ახალ-საცხოვრებლათ. თუმცა ყოველი არსება იცვლება, ერთი კვდება, მეორე იბადება, მაგრამ საზოგადოთ ბუნება არაოდეს არც ბერდება, არც კვდება. ყოველთვის ახალი და მშვენიერია.

ყოველი ცხოველისა გვარი ბერდება, კვდება და იმათ მაგიერათ ახალი შთამომავლობა დაიბადება. მთელი ტყეები ცოტ-ცოტათ ლპებიან და ჰქრებიან, იმათ მაგიერათ ახალი ნორჩი ტყე ამოდის, ბუნება კი სულ ერთ ნაირათ ცხოვრობს; რაც ცხოვრება ათასის წლის წინათ ჰქონია, ახლაც იმგვარი აქვს.

ამით ვათავებთ ჩვენს საუბარს.

*
* *

ცხადია, რომ მთელს ბუნებას ერთი თვალის გადავლებით ვერ დავინახავთ. და ეს კაცისგან არც შესაძლებელია. მაგრამ ჩვენი საუბრიდგან, ვგონებ, კაცს შეუძლიან ეს შეიტყოს, რა არის ბუნება და რა ბევრია იმისთანა ნივთები, რომელიც კაცმა უნდა იცოდეს თავისვე სასარგებლოთ. განსაკუთრებით ჩვენ უნდა ვიცოდეთ იმის კანონები და ეს იმისთვის, რომ ღმერთმა ამ კანონებს, როგორც ყოველ ბუნების სხეულზე, ისე ჩვენზე მისცა უფლება.

*
* *

ყველა ამაებს ჩვენ ვილაპარაკებთ მეორეჯერ; აგრეთვე ვაცნობებთ მკითხველებს: რა ნაწილებისაგან არის ჩვენი ტანი შემდგარი. ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, მხოლოდ იმათთვის იქმნება ადვილი გასაგები ეს მეორე საუბარი. თუ ეს ახლანდელი ჩვენი საუბარი ვინმე გაიგო, მომავალ საუბარში შეუძლიან შეიტყოს, რა სარგებლობას ან ზარალს აძლევს კაცს ბუნება, როგორი განწყობილებით უნდა ვსცხოვრობდეთ იმასთან, რომ სიმთელით ვიყოთ და დიდხანს გავსძლოთ, ან როცა კარგი დარიგების მომცემი ახლოს არ გვეყოლება, მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ავათმყოფობა შევვიმსუბუქდეს. ტყუილათ კი არ არის ნათქვამი: „ვინც კაკალს არ გასტეხს, გულსაც ვერ შესჭამსო."

განცხადება.

ქ. ყაზანში არის სამეურნეო შკოლა, საცა ყოველგვარ ოჯახობას ასწავლიან შაგირდებსა, მაგალითად, ბოსტნის და ბაღის მოვლას, ხვნა-თესვას, პირუტყვების მოშენებას და სხ. ამ შკოლაში რვა ყმაწვილს გაუთავებია წელს სწავლა; მაგრამ, სანამ რომელსამე მამულში არ გამოიცდებიან და თვით საქმით, მუშაობაში, არ გაიცნობენ კარგათ მეურნეობას, მანამ მმართებლობა არ აძლევს იმათ მცოდნე მეოჯახეობის მოწმობას; ამისგამო შკოლის უფროსი აცხადებს ახლა, რომ, თუ რომელსამე მემამულეს კარგა გამართული ოჯახობა აქვს და სურს დროებით მიიწვიოს ერთ-ერთი ამ ყმაწვილთაგანი, შეუძლია დაიბაროს ამ შკოლიდგან, იმ პირობით, რომ შაგირდმა, თვითონ მემამულეს ხელმძღვანელობით, მოუაროს იმის ოჯახს და ნახევარი წლის შემდეგ (ამ წლის სექტემბრიდგან) უნდა მისცეს მოწმობა—თუ როგორ უვლიდა ის მამულს და როგორი ყოფაქცევისა არის. სახარჯოთ შაგირდს შკოლისაგან თვეში 8 მან. და $33\frac{1}{2}$ კოპ. მიეცემა.—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го Августа, 1870 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.